პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 214 (5244)

1974 წ. 29 ოქტომბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



VI
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ • ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲐᲚᲐᲫᲘ ᲐᲚᲘᲛᲐᲠᲗᲐ

თბილისის VI სპარტაკიადამ კარგა ხანია სტარტი აიღო. ჯერ ცალკეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და რაიონების შეჯიბრებები ჩატარდა, გუშინწინ კი საუკეთესო სპორტსმენებმა და გუნდებმა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოიყარეს თავი, რათა ფინალური ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალში მიეღოთ მონაწილეობა.

... სტადიონის სარბენ ბილიკებზე მწყობრი ნაბიჯით გამოვიდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, „ᲬᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ რეზერვების“, „სპარტაკის“, დოსაფის და სხვა სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა სპორტსმენები. მათ წინ მიუძღოდათ ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი. აღლუმის მონაწილეთა მზადყოფნის შესახებ სწორედ მეტრეველმა ჩაბარა პატაკი სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ს. რიგვავას. მერე დედაქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სპარტაკიადის მონაწილეებს მივესალმა და მაღალი შედეგების ჩოპოვება უსურვა. შემდეგ კი ანძაზე საბჭოთა საქართველოს დროშა აფრიალდა. სპარტაკიადა გაიხსნა!

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მინდორზე თბილისის „განთიადისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები გამოვიდნენ. ჩატარდა მატჩი რუსეთის პირველობაზე.

Ა. ᲫᲣᲜᲘᲫᲔᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სპარტაკიადის საზეიმო გახსნის მომენტი.
ავტორის ფოტო.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების უფროს მწვრთნელად დანიშნა 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ა. ჭკუასელი.

ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲯᲘᲓᲨᲘ

ᲕᲐᲠᲜᲐ, 28 ოქტომბერი. სპორტულ ტანვარჯიშში ვაჟთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა იაპონელმა ს. კასამაცუმ, რომელმაც მრავალჯერადის ჯამში 115,5 ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი ვლადიმირელ ნ. ანდრიანოვს ხვდა — 115,377. III ადგილზეა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი ე. კენმოცუ (იაპონია) — 114,075.

IV და V ადგილებიც ამომავალი მზის ქვეყნის სპორტსმენებმა დაიკავეს. ესენი არიან ხ. კაძიიამა—114,65, და ᲛᲐ. ᲪᲣᲙᲐᲰᲐᲠᲐ — 114,6.

„ᲛᲘᲥᲡᲘᲣᲚᲘ ᲩᲐᲙᲔᲢᲐ“ ერევნელმა ე. მიქაელიანმა — 114,175. ვ. მარჩენკომ (გროზნო) IX ადგილი დაიკავა, — 113,7, Ჰ. ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲛ (თბილისი) — X — 112,735, ვ. საფრონოვმა (ლვოვი) — XIII — 112,575.

ᲨᲘᲜ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲕᲐᲠᲜᲐ, 28 ოქტომბერი. (საკადესი). საბჭოთა ტანმოვარჯიშეები მსოფლიო ჩემპიონატიდან სხვადასხვა ხარისხის მედლებით დაბრუნდებიან შინ. სულ სსრ კავშირის ნაკრებმა 21 ჯილდო მოიხვეჭა (6 ოქროს, 10 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი). უმაღლესი ჯილდოები მიიღეს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა გუნდმა და როსტოველმა ლ. ტურიშჩევამ, რომელმაც კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა მსოფლიოში უძლიერესის სახელი. კვირას, ასპარეზობის ბოლო დღეს, ტურიშჩევამ თავის პრიზების მდიდარ კოლექციას კიდევ 2 ოქროს მედალი დაუმატა — ამჯერად ყველას აჯობა დვირზე (19,725) და თავისუფალ ვარჯიშში (19,775). გროდნოელმა ო. კორბუტმა საბჭოთა ნაკრების ნადავლს დაუმატა ხტომაში ბრწყინვალედ გამოსვლისთვის მიღებული ოქროს მედალი — 19,450. ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა უმაღლესი ჯილდო მიიღო რგოლებზე კომბინაციის უბადლოდ შესრულებისთვის — 19,525.

ამას გარდა, საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს ბევრი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალიც ხვდათ. ტურიშჩევა მეორე იყო ბჯენით ხტომაში, მესამე — ორძელზე. კორბუტმა სამი ვერცხლის მედალი მიიღო (ორძელი, დვირი, თავისუფალი ვარჯიში). ჩიმკენტელ ნ. კიმს ბრინჯაოს ჯილდო ხვდა დვირზე კომბინაციისთვის, ხოლო მოსკოველმა ვ. საადიმ და ბათუმელმა რ. სიხარულიძემ III ადგილი გაიყვეს თავისუფალ ვარჯიშში. ანდრიანოვმა სამი ვერცხლის მედალი დაიმსახურა — ტაიტზე, ხტომაში და ორძელზე. გროზნოელი ვ. მარჩენკო მესამე იყო ორძელზე.

ფინიშზე წარმატებით გამოვიდნენ იაპონიის, უნგრეთის, გდრ-ის, რუმინეთისა და გფრ-ის წარმომადგენლები.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი და ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებული იაპონიის ნაკრების ლიდერი ს. კასამაცუ პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში (19,375) და ხტომაში (19,325). მისმა თანამემამულემ, ახლა უკვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ე. კენმოცუმ გაიმარჯვა ორძელზე — 19,375. უნგრელმა ზ. მადიარმა მოიგო ტაიტზე შეჯიბრება — 19,575. ე. გინგერი (გფრ) პირველი იყო ღერძზე — 19,5. რუმინელმა დ. გრეკუმ რგოლებზე I ადგილი გაიყო ანდრიანოვთან. ა. ცინკე (გდრ) ორძელზე ვარჯიშში ქალთა შორის უძლიერესად აღიარეს — 19,650.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲘᲐᲣᲚᲘᲐᲜᲨᲘ

გუშინწინ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XIV საკავშირო რუმპიონატის პირველი ტური. 26 ოქტომბერს შიაულიანში მოასპარეზე თბილისის „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით 19:16 (8:12) დაამარცხა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“, ხოლო მეორე დღეს ასევე წარმატებას მიაღწია — მინსკის „პოლიტექნიკს“ სძლია — 22:19 (10:10). თბილისის გუნდი ლიდერებს 3 ქულით ჩამორჩა და III ადგილზეა.

ბოლოსწინა დღის ცენტრალური მატჩი ფრედ დამთავრდა — 20:20 (12:10). ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და მეტალურგიის ინსტიტუტის გუნდი.

შიაულიანის ტურნი დაწინაურდნენ ცსკა და ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტის გუნდი, რომელთაც 7-7 ქულა აქვთ 8-დან. ბოლო დღეს იქ თასაქალაქელები შეხვდებენ ერთმანეთს: ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ანგარიშით 25:13 (16:5) აჯობეს „ალუმინსტროის“.

საუკეთესო ბომბარდირია მეტალურგიის ინსტიტუტის სტუდენტი, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. ლაგუტინი — 31 ბურთი.

დონის როსტოვის ჯგუფში შესანიშნავად ითამაშეს მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა, რომელებმაც წაუგებლად ჩაატარეს ოთხივე მატჩი და ლიდერობაც იგდეს ხელთ — 8 ქულა. II ადგილზე გავიდა კრასნოდარის „უნივერსიტეტი“ — 6 ქულა. III ადგილზეა მოსკოვის „კუნცევო“ — 4 ქულა.

კვირას მოსკოველმა სტუდენტებმა „უნივერსიტეტს“ სძლიეს — 33:29 (15:11). კრასნოდარელთა კარში 15 გოლი გაიტანა ვ. მაქსიმოვმა, სულ კი როსტოვის ჯგუფის საუკეთესო სნაიპერის ანგარიშზე 38 ბურთია.

„კუნცევომ“ ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდს მოუგო — 24:23 (15:12). მატჩის მიწურულს ტაშკენტელებმა შვიდმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს.

ᲠᲘᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲙᲐᲣᲜᲐᲡᲘ, 25 ოქტომბერი. (საკადესი). დღეს დამთავრდა სსრ კავშირის ახალგაზრდული ჩემპიონატი ძალოსნობაში. დიდი წარმატება მოიპოვა გროზნოს მახლობლად მდებარე სტანიცა სერნოვოდსკაიას მკვიდრმა ა. საიდულაევმა, რომელმაც ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. დამატებითს, მეოთხე ცდებზე ამ საშეალო წონის ათლეტმა 146 კგ აიტაცა და 185,5 კგ აჭარა. საიდულაევმა ორივეჯერ 0,5 კგ-ით გაუმჯობესა ბულგარელი ი. სტოიჩევისა და თავისი ახალგაზრდული მიღწევები.

ორეიდში საიდულაევის შედეგი — 325 კგ — სტოიჩევის მსოფლიო რეკორდს უდრის.

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩემპიონი უკვე სამი წელია ვარჯიშობს ძალოსნობაში ი. კოძოევის ხელმძღვანელობით.

ამ შეჯიბრებაში დამყარდა, აგრეთვე, ხუთი საკავშირო ახალგაზრდული რეკორდი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲒᲠᲘᲙᲝᲚᲐ-74

● ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ, 25 ოქტომბერი. მოყვარულ მოკრივეთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. I ადგილები დაიკავეს ერევნელმა ს. დურიანმა, ვოლგოგრადელმა ვ. უდოვიკმა და მაგადანელმა ი. ვისოცკიმ. II ადგილზე გავიდა ერევნელი ა. ავეტისიანი, რომელმაც ფინალური შეხვედრა ქულებით წააგო ჯ. გილბოდისთან (შოტლანდია). გადამწყვეტ ორთაბრძოლებში დურიანმა შოტლანდიელ ჯ. ლოულესს სძლია, უდოვიკმა — ასევე შოტლანდიელ ხ. კუნის (ორივემ — ქულებით), ხოლო ვისოცკიმ ესპანელი ფ. პინეირო დაამარცხა — მსჯავრი ვადამდე შეწყვიტა ბრძოლა.

● ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ, 25 ოქტომბერი. აქ მწყობრში ჩადგა ბრაზილიაში ალბათ პირველი მძლეოსნობის სპეციალიზებული სტადიონი და ამ ბაზაზე გამართულმა პირველივე დიდმა საერთაშორისო შეჯიბრებამ განუზომელი ინტერესი გამოიწვია. სტარტებზე გამოვიდნენ ლათინური და ჩრდილოეთ ამერიკის, აგრეთვე, ევროპის წარმომადგენლები. თუ ევროპელებისთვის ოქტომბერი შემოდგომის მიწურულია, როცა სეზონი უკვე დამთავრებულიც არის, ბრაზილიაში გაზაფხული ილევა — სამხრეთ ნახევარსფეროში შეჯიბრებები მხოლოდ ახლა იწყება. ტარტანის ბილიკზე 100-მეტრიანი მანძილი ყველაზე სწრაფად გაირბინა სტივ რიდიკმა (აშშ) — 10,2 წამი. 110 მეტრზე თარჯრბენშიც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჩარლზ ფოსტერმა იმარჯვა—14,0. სამხტომში პირველი იყო პოლონელი ანჯეი შოსტაკი — 16,17 მ. 400 მეტრზე თარჯრბენში ბადალი არ ყავდა ჰორსტ-რუდიგერ ფლიოსკეს (გფრ) — 47,2. ბადრო ყველაზე შორს ტყორცნა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლიუდეკ დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) — 62,52 მ. ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ბრაზილიელმა სილვინა გრასას პერეირამ — 24,6. სიმაღლეზე ხტომაში პირველი იყო იტალიელი სარა სიმონი — 185 სმ. მას 10 სანტიმეტრით ჩამორჩა II ადგილზე გასული კარინ ვაგნერი (გფრ).

● ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 25 ოქტომბერი. ფაშისტ დამპყრობთაგან იუგოსლავიის დედაქალაქის განთავისუფლების 30 წლისთავს მიეძღვნა მოსწავლე ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ბელგრადის, მოსკოვის, ბუდაპეშტისა და სერბიის ნაკრები გუნდები. I ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბელგრადისა და მოსკოვის წარმომადგენლები. მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, მაგრამ ბურთების უკეთესი ბალანსის წყალობით პირველობა მოსკოველებმა მოიპოვეს.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 ოქტომბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების მრავალგზის მფლობელმა — მოსკოვის ცსკა-ს ჰოკეისტთა გუნდმა ლიდერობა იგდო ხელთ ახლახან დაწყებულ საკავშირო პირველობაში. გუშინ ამ გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა — რიგაში ანგარიშით 5:1 დაამარცხა ადგილობრივი „დინამო“. ცსკა-ს 10 ქულა აქვს 10-დან!



ჩვენს ქალაქ ★ ქალაქებში

ვრცელი ასპარეზი — ფიზკულტურას

ზუსტად გრაფიკით მოიყვანა სამგზავრო მატარებელი „ვლადივოსტოკი — ხარკოვი" მემანქანე რ. გრინკომ. რამდენიმე საათის შემდეგ გამოცდილ მემანქანეს უკვე კიროვის სახელობის სალოკომოტივო დეპოს სპორტულ ქალაქში ნახავდით.

გრინკოსთან ერთად სათამაშო მოედნებსა და სარბენ ბილიკებზე ათობით რკინიგზელი გამოვიდა. მათ შორის იყვნენ ჯანმრთელობის კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნის მფლობელები — მემანქანე ნ. კირიჩენკო, მაგისტრალზე ცნობილი რაციონალიზატორი, ზეინკალი ვ. კოვალენკო, დეპოს პარტორგი გ. კლიმოვი და სხვ.

კიროვის სახელობის დეპოს საწარმოო კოლექტივი საშხრეთის რკინიგზაზე ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო შრომაში, არამედ სპორტშიც. იგი დაჯილდოებულია უკრაინის სსრ სპორტკომიტეტის დიპლომით. ამ კოლექტივში ყოველი მეოთხე კაცი ფიზკულტურელია, ყოველი მესამე — შშდ კომპლექსის ნიშნოსანი.

ყოველდღიურად სადგურის სტადიონზე, რომელიც, ისევე როგორც დეპოს სპორტული ქალაქი, ადგილობრივ ეხოუზიასტთა ხელით არის აგებული, სხვადასხვა ასაკის ადამიანები გამოდიან საკარჯიშოდ. ისინი გატაცებით თამაშობენ ფეხბურთს, ჭადრაკობენ, მეცადინეობენ ძძლეოსნობაში. განსაკუთრებით უყვართ ფრენბურთი. დეპოს ადგილობრივ თავმჯდომარე ა. მაგიდი გუნდის ერთ-ერთი ვეტერანია, ხოლო დეპოს უფროსის მოადგილე ო. ულანსკი — პირველთანრიგოსანი და „მოთამაშე მწვრთნელი". ბევრი მოყვარული ჰყავს ძძლეოსნობასაც. ამ სექციას ხელმძღვანელობს უკრაინის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ზეინკალი ი. მოგილნერი.

კიროვის სახელობის დეპოს მშრომელებმა ფიზკულტურასა და სპორტს ვრცელი ასპარეზი გადაუშალეს.

ვ. რეზნიცკი.

ხარკოვი.

სპორტის ისტორია... საფოსტო მარკებში

საფოსტო მარკაზე აღბეჭდილია სტარტზე მდგარი მორბენალი, რომელიც საცაა წინ გაიჭრება. ეს მარკა მრავალი წლის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი ეძღვნება ტომას ბერნს, რომელმაც 1896 წლის ოლიმპიურ თამაშებში პირველმა გამოიყენა დაბალი სტარტი, რამაც ორი ოქროს მედალი მოუტანა ერთად — 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე.

ბაქოელი ბორის ფლისფაიდერის კოლექციას რომ გაეცნოთ, ვიფიქრებ, ბევრ საინტერესო რამეს შეიტყობთ სპორტის ისტორიიდან. სპეციალობით პედაგოგი, ფლისფაიდერი სპორტის დიდი შეგობარია და მას მიუძღვნა თავისი კოლექცია, რომლის სახელწოდებაც ასეთია: „ძძლეოსნობა ფილატელიაში".

მრავალრიცხოვან სტენდებზე გამოკრულია სხვადასხვა ქვეყნის საფოსტო მარკები. თითქმის ყველას ახლავს პატარა კომენტარი, რომელიც გვაცნობს, თუ ვინ არის აღბეჭდილი მარკაზე, რა შედეგით მოიგო ამ ძძლეოსანმა პროფორამის ესა თუ ის სახეობა, რამდენი გამარჯვება აქვს მოპოვებული ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა და სხვა კონტინენტების ჩემპიონატებში.

ფლისფაიდერის კოლექციამ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ფილატელისტთა მარკების გამოფენაზე, რომელიც ბაქოში ჩატარდა, ვერცხლის მედალი დაიმსახურა. ასეთივე ჯილდო მოიმოგა ბაქოელმა მოსწავლე გოგონამ ჯამილა სეიფიმ. გოგონა გატაცებულია მხატვრული ტანგარჯიშით და გამოფენაზე გამოიტანა კოლექცია — „ქალი სპორტში"

ბ. ნიკოლსკი.

ბაქო.

სტარტები სათხილამურო სარბიელზე

იაკუტი სპორტსმენები უკვე გამოვიდნენ სათხილამურო სარბიელზე. ეს იყო პროფკავშირთა ბაბორის სპარტაკიადის ზონალურ ასპარეზობათა შესარჩევი შეჯიბრება. რბოლის დროს თოვდა და ხალვადობაც ცუდი იყო, მაგრამ სპორტსმენებმა ძალიან კარგ შედეგებს მიაღწიეს. ქალთა შორის 5 კილომეტრზე ყველას აჯობებს „ვოდნიკის" წარმომადგენლებმა ე. კონტეტკოვამ და ლ. აგბამოვამ. 10 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში გაიმარჯვა სოფლის მასწავლებელმა ს. პესტრიაკოვმა.

ნოემბრის დამდეგს ავტონომიურ რესპუბლიკაში მოეწყობა ესტაფეტა საშუალო სკოლების, სპეციალური სასწავლებლების, საწარმოო კოლექტივებისა და ადგილობრივი ინვალიდების გუნდების მონაწილეობით. ამავე დროს მონაწილენი ჩაბარებენ შშდ კომპლექსის ნორმატივებს.

იაკუტსკი.

ვეძზალოთ სსრ კავშირის სალხთა VI სპარტაკიადისთვის

რვაადგილიანების რვა ეკიპაჟი

სსრ კავშირის სალხთა VI სპარტაკიადაში ქალთა გუნდები პირველად ასპარეზობენ აკადემიურ ნიჩბოსნობაში. საქართველოს ნაკრებიც დიდი ხანია ემზადება ამ შეჯიბრებისთვის. ბედდები ურიგო რიდია. წყვრთნელების ლ. ბეცურიანის, უ. ნათელაშვილის, ქ. ლიპარტელიანის, ზ. ვარხვარეის ორწლიანმა შრომამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: წყლულს კიევში ქალთა საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს ოთხადგილიანმა ნავმა (მწვრთნელი ნ. დალაქიშვილი) VI ადგილი დაიკავა, ორადგილიანი უმესაჭო ნავით ლ. კახურაშვილმა და ზ. გვრიტაშვილმა ტრასა-ბოლოში „ცარიოვის პრიზი" მოიკუნ, ერთადგილიანით კი ნ. ალავიძემ II ადგილი დაიკავა. ვერც გასაშლელი ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟს ვუსაყვედურებთ რამეს.

ვაჟთა ნაკრებს უფრო დიდი წარმატებები აქვს მოპოვებული. როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ოთარ ბერულავამ გვითხრა, წლეულს 14 ნიჩბოსანმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეარე შთაბეჭდილებას ახდენენ რვაადგილიანი, მესაჭიანი ოთხადგილიანი და მესაჭიანი ორადგილიანი ნავების ეკიპაჟები, რომლებსაც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის უნარი შესწევთ. სპარტაკიადისთვის მზადებაში ხელს ვგრძნობს ინვენტარის უკმარობა. მართალია, სიიოსა და ვალში ბევრი ბაზები, ნაკრებმა ინვენტარის ნაწილი შეიძინა, შეკვეთილია ნავების მთლიანი კომპლექტი, მაგრამ საქართველოში აკადემიური ნიჩბოსნობის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია თბილისში, მტკვარზე, ქალაქის ნიჩბოსნობის ბაზაზე, ბავშვთა სპეციალიზებული სკოლა გაიხსნას.

საქართველოს ნიჩბოსანთა ძალების შორიეი შემოწმება ამას წინათ ფოთში გამართულ პირად-გუნდურ ჩემპიონატში მოეწყო. სარბიელზე 186 სპორტსმენი გამოვიდა. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია. აღსანიშნავია, რომ რუსთავისა და სოხუმის გუნდები ჩემპიონატში პირველად მონაწილეობდნენ.

ვაჟთა შორის რვაადგილიანებით შეჯიბრებაში პირველობას რვა ნავის ეკიპაჟები ეცილებოდნენ ერთმანეთს. ასეთი „ხალხმრავლობა" საქართველოში სპორტის ამ სახეობის ისტორიას არ ახსოვს.

2000 მეტრზე კარგად ასპარეზობს საქართველოს ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავის ეკიპაჟის წევრებმა ს. ურიდიამ, ნ. დიხამინჯიამ, ზ. ბერძენიშვილმა, ვ. აბაზაძემ (მესაჭე ს. სოგრატოვი), რომლებმაც პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი.

დიდი ინტერესი გამოიწვია რვაადგილიანი ნავებით ვაჟთა შეჯიბრებამ, რომ ეკიპაჟის წევრებმა ბრძოლაში დამსახურებულად გაიმარჯვეს თბილისელებმა (ვ. გეგეჭკორი, ო. ჯანკოდავა, რ. გაბელაია, თ. ცინცაძე, ი. ბობოხიძე, გ. შთიშვილი, გ. მამუკაშვილი, ლ. მესხი, მესაჭე ს. სოგრატოვი). მათაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს.

წინსვლის მიუხედავად, რესპუბლიკაში აკადემიური ნიჩბოსნობის განვითარებაში შეინიშნება ნაკლიც. მაგალითად, ქალთა შორის ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანებითა და რვაადგილიანებით შეჯიბრებაში სარბიელზე თითო ნავი გამოვიდა, წყვილმოსასმელიანი ორადგილიანებით ტურნირში კი — ორი. ასევე, ვაჟთა შეჯიბრებაში მხოლოდ ორი ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავი მისრიალებდა ფიბინისკენ.

ტექნიკური შედეგები

ქალები. 100 მ. ერთადგილიანი. ც. ალავიძე (ქუთაისი, „დინამო") —4.07,8, ნ. ლავრელაშვილი (თბილისი, „განთიადი") — 4.28,5, ს. აბდულაევი (ფოთი, „ვოდნიკი") — 4.53,6. **უმესაჭო ორადგილიანი.** ლ. კახურაშვილი, მ. გვრიტაშვილი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 4.15,3, რუსთავის „განთიადი" — 5.02,0, სოხუმის გუნდი — 5.42,0. **წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი.** ნ. გორდულაძე, ბ. ბერჯაოლიანი (ქუთაისი, „განთიადი") — 4.04,1, რუსთავის „განთიადი" — 4.44,6. **ოთხადგილიანი მესაჭით.** ტ. ბაბოროვეცი, ი. სადოვნიჩაია, ს. ასტაფეროვა, ს. გურცევა, მესაჭე ი. ალადაშვილი (რუსთავი, „განთიადი") — 4.04,0, თბილისის „ბურევესტნიკი" — 4.13,5. სოხუმის გუნდი — 5.41,2. **ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი.** ც. ალავიძე, ნ. ბერჯაოლიანი, ნ. გორდულაძე, დ. ბეშენაძე, მესაჭე ე. ყვაბეტაძე (ქუთაისი, „განთიადი") — 3.50,0. **რვაადგილიანი.** თბილისის ნაკრები (ნ. დალაქიშვილი, ლ. ბლინკოვი, გ. ბაბეკაშვილი, ვ. ფასაკანიშვილი, ლ. კახურაშვილი, მ. გვრიტაშვილი, ნ. ლავრელაშვილი, ა. ფალავა, მესაჭე ე. გაბრიაძე) — 4.52,8.

ვაჟები. 2000 მ. ერთადგილიანი. ვ. პატარაია (ფოთი, „ვოდნიკი")— 7.38,4, ი. თათარაშვილი (თბილისი, „ასკ") — 7.49,7, გ. შეროზია (მცხეთა, „სპარტაკი") — 8.30,6. **უმესაჭო ორადგილიანი.** ვ. მამუკაშვილი, ს. კუდუხოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 7.51,5, მ. სიმონიშვილი, ვ. ბუთხუზი (მცხეთა, „სპარტაკი") — 8.16,8, ნ. უტიშევი, ნ. საბონოვი (ფოთი, „ვოდნიკი") — 8.23,0. **მესაჭიანი ორადგილიანი.** ი. ბობოხიძე, თ. ცინცაძე, მესაჭე დ. ელიზბარაშვილი (თბილისი, „ასკ") — 7.55,5, ვ. გვაძაბია, ა. ჩიბუა, მესაჭე ნ. ბიქოვი (ფოთი, „ვოდნიკი") — 8.23,5, რ. გაბუნია, მ. ჯოხლოვი, მესაჭე მ. ტაბატაძე (ქუთაისი, „დინამო") — 8.43,3. **წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი.** ი. თათარაშვილი, დ. ლოლუა (თბილისი, „ასკ") — 7.29,4, მ. ლიანბი, ვ. ხრისტოფორიდი (ფოთი, „ვოდნიკი") — 7.34,4, ვ. თათარაშვილი, დ. გეგეჭკორი (მცხეთა, „სპარტაკი") — 7.41,8. **უმესაჭო ოთხადგილიანი.** საქართველოს ნაკრები (ვ. გეგეჭკორი, ი. ჯანკოდავა, რ. გაბელაია, ვ. მესხი) — 6.40,7, ფოთის „ვოდნიკი" — 7.03,6, მცხეთის „სპარტაკი" — 7.11,5. **მესაჭიანი ოთხადგილიანი.** საქართველოს ნაკრები (ს. ურიდია, ნ. დიხამინჯია, ზ. ბერძენიშვილი, ვ. აბაზაძე, მესაჭე ს. სოგრატოვი) — 6.30,1, ფოთის „ვოდნიკი" — 6.38,0, მცხეთის „სპარტაკი" — 6.47,2. **წყვილმოსასმელიანი ოთხადგილიანი.** ფოთის „ვოდნიკი" (გ. პატარაია, თ. შონია, მ. ჭელიანი, ვ. ხრისტოფორიდი) — 7.13,1, ქუთაისის „განთიადი" — 7.18,1. **რვაადგილიანი.** საქართველოს ნაკრები (მესაჭე ს. სოგრატოვი) — 5.56,9, თბილისის ნაკრები (მესაჭე ვ. გეგეჭკორი) — 6.08,2, თბილისის ნაკრები (მესაჭე რ. ელიზბარაშვილი) — 6.16,0.

გუნდური შედეგები: თბილისი — 202 ქულა, ფოთი — 130, ქუთაისი — 98.

ლ. ბეცურიანი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ფოთი.



ჩოხატაურელ ლელოგურთელთა გამარჯვება

ლანჩხუთის „კოლმეურნის" სტადიონზე რამდენიმე დღეს გაგრძელდა საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული დასავლეთის ზონის შეჯიბრება ლელობურში, რომელშიც სხვადასხვა რაიონის 9 გუნდი მონაწილეობდა.

პირველი შეხვედრების შემდეგ შედგა გადამწყვეტი მატჩები ადგილების საბოლოოდ გასანაწილებლად. III ადგილისთვის ბრძოლა გაიმართა ლანჩხუთისა და ხობის გუნდებს შორის, სადაც გამარჯვება წილად ხვდათ ლანჩხუთელებს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩოხატაურისა და სამტრედიის რაიონების გუნდების თამაში, სადაც წყდებოდა I ადგილის ბედი. ჩოხატაურელმა ლელობურთელებმა კარგი მომზადება გამოაცალინეს და დაამარცხეს მეტოქე.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა, მაგრამ აქ ეროხელ კიდევ დადასტურდა, რომ საჭიროა კვალიფიკაციის შეჯიბრების წესები, ვინაიდან იგი 25 წლის წინათაა შემუშავებული და საჭიროებს ახალ რედაქციას. ეფიქრობთ, ამ საკითხზე შესაბამისი ორგანოები იმსჯელებენ.

ჯ. ბაშაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ლანჩხუთი.



ჰიაოურა

დამთავრდა „ჰიაოურმარგანტრესტის" მექანიკური სახელოსნოს სპარტაკიადა, რომელშიც 8 საამქროს გუნდები მონაწილეობდნენ. I ადგილზე გავიდა საზეთიანი საამქროს ნაკრები.

ზ. ტატიშვილი.

ბოლოპასუხი — ნარსულის გათვალისწინებით

ნუ გაგიკვირდებათ, თუ კაცი, რომელმაც ახალგაზრდობის საუკეთესო წლები კალათბურთს შეუწირა, მაინც ვალში დარჩა მის წინაშე. წინათ, როცა მოქმედი სპორტსმენი იყო, ერთგულად იდგა კოლექტივის ინტერესების სადარაჯოზე, მაგრამ მერე თავისი საყვარელი გუნდის თავკაცი გახდა და სულ სხვა როლის შესრულებას შეუდგა. სწორედ ამ ახალმა როლმა გამოიწვია გადაუხდელი ვალი არა მარტო კოლექტივის, არამედ გულშემატკივრების, საზოგადოებრიობისა და თვით კალათბურთის წინაშე.

საუბარი, რომელიც კარგა ხნის წინათ შედგა და დღეს სტენოგრაფიული სიზუსტით აღვადგინეთ, მისი თოსნობის შედეგი იყო. თბილისის „დინამოს“ სახელოვანი გუნდის ყოფილი გვარდიელი, ამჟამად მისი უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი 42-ე საკავშირო ჩემპიონატის წინ ანგარიშს აბარებს გულშემატკივრებს, საზოგადოებრიობას.

— გულშემატკივრებმა ყველაფერი უნდა იცოდნენ თავიანთს გუნდზე: რა გვიჭირს, რა გვაღონებს, რა გვიშლიდა ხელს და რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ წყოსუნა ულსიამოვნო მოგონებები არ გაჩნდეს.

ჩვენი საუბარი მხოლოდ პრინციპულ საკითხებს უხებოდა და ამიტომაც ორივე ვცდილობდით შეძლებისდაგვარად შეგვეკვნა ერთმანეთის ნათქვამი.

როცა ერთი რომელიმე ტურნირის შედეგებს ხდება (ამ შემთხვევაში 41-ე საკავშირო ჩემპიონატისა), პირველ ყოველისა, უნდა გავცეთ პასუხი შეკითხვას: როგორ შეფასოთ ამ შეკიბრებაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა? „დინამომ“ წინა ჩემპიონატში VI ადგილი დაიკავა. ქართული კალათბურთის ტრადიციების ფონზე ეს შედეგი, რა თქმა უნდა, არ არის დასაკაყოფილებელი. ჩვენი გულშემატკივრების გაკვირვება ძნელია და VI ადგილს ბევრ მოგუშონებს, როცა ხან სსრ კავშირის ჩემპიონი იყავი, ხან თასის მფლობელი, ხან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს იგებდი და ხან რომელიმე დიდ საერთაშორისო ტურნირს.

მაგრამ სატურნირო ცხრილში დაკავებული ყოველი ადგილის უკან იმალება გუნდის მთელი ცხოვრება, მისი ავი და კარგი. სწორედ ამიტომ, დინამოელთა VII ადგილი არ უნდა მივიჩნიოთ ერთ მყარ სუბსტანციად. შედეგი, რომელიც დღეს არც ერთ ჩვენგანს არ აკმაყოფილებს, ნელ-ნელა ჩაბოყალიბდა, კოლექტივის ყოველდღიურობაში არსებულ პოზიტიურ და ნეგატიურ მოვლენათა ურთიერთობის საფუძველზე.

ამიტომაც შეკითხვიდეთ მთავარში: გუნდის გარეგნული და შინაგანი სახე ჩამოყალიბდა თანდათანობით, რამდენიმე სეზონის მანძილზე და ერთ მონაკვეთში (პირობითად მას კრიტიკული კუნძულოდთ) იგი დასრულებული, კონკრეტული სახით წარმოგვიდგა, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი საუბრის თემა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ერთი ჩემპიონატით იყო განსაზღვრული, შეკვეთით მხოლოდ ამ ერთი ტურნირით შემოვიფარგლოთ.

— VI ადგილი, როგორც უკვე ვთქვით, ვერ დააკმაყოფილებდა ვერც საქართველოს კალათბურთელთა გულშემატკივრების მრავალათასიან არმიას და ვერც ოფიციალურ ორგანიზაციებს. მაგრამ, მოდით, ნუ დავიზარებთ და უფრო ღრმად ჩავწვდეთ მიზეზებს. იქნებ გუნდის შინაგანმა ცხოვრებამ, იმას, რასაც შაყურებელი ვერ ხედავს, შეძლო მოზეინოს ჩვენს საერთო ეპოქას და ეარაუდს.

ჯერ მხოლოდ მშრალ მონაცემებს მოგაწვდით. საკავშირო ჩემპიონატებში ყოველი გუნდის შემადგენლობა 12 კაცითაა განსაზღვრული. მთავარსარდლობა რეზერვის სახით სათადარიგო შემადგენლობასაც განაგებს, მაგრამ, არსებული წესის მიხედვით, ერთ მატჩში შეიძლება გამოიყენო მხოლოდ 12 კალათბურთელი. ახლა ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ 12 ერთნაირი ძალის კალათბურთელი არც ერთ კოლექტივს არა ჰყავს. ძირითად შემადგენლობაში მეტ-ნაკლებად ერთნაირი ძალით თამაშობს 5, 6 ან, დიდი-დიდი, 7 სპორტსმენი.

და აი, წინა ჩემპიონატში ყველაზე მძიმე დანაკლისი „დინამომ“ სწორედ ამ ძირითად შემადგენლობაში განიცადა. შეხვედრების მეტი წილი სათადარიგო ძალებით ჩავატარეთ. ძალიან გთხოვთ სწორად გამიგოთ. იმასაც ნუ იფიქრებთ, ლევან მოსეშვილი მიზეზებს ეძებს თავის გასამართლებლადო. მე მხოლოდ ფაქტებს ჩამოვთვლი. მაშ ასე: მეხსიერ რტილისთან შეხვედრაში ხელი იტკინა ზურამ საკანდელიძემ — მან 12 მატჩი გამოტოვა; კიევის „სტროიტელთან“ შეხვედრაში დაშავდა იური პულავსკი, ურომლისოდაც 9 შეხვედრის ჩატარება მოგვიხდა; ბონდო ბოლქვაძემ სეზონის დასაწყისში და ბოლოს 15 მატჩი გამოტოვა; იური ძიძიგურს 17 შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა. საკანდელიძე, პულავსკი, ბოლქვაძე, ძიძიგური — ეს ჩვენი ძირითადი შემადგენლობაა, რომელზეც სეზონის დასაწყისში დიდ იმედებს გამყარებდით.

ტრავმები იმ სეზონში მართლაც ფატალურად თან სდევდა „დინამოს“. მაგრამ იყო სხვა უფრო მძიმე მიზეზიც, რომელმაც გუნდს მორალური საფუძველიც შეურყია.

— საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე 15 დღით ადრე გაურკვეველი მიმართულებით გაქრა გუნდის ცენტრალური თავდასხმელი ალექსანდრე ვასიუტინსკი. იგი გამოცხადდა მხოლოდ ჩემპიონატის დაწყების მეორე დღეს

პირველი, რაც ვიფიქრე, მისი განთავისუფლება იყო. ვწუხვარ, რომ სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო ამ გადაწყვეტილების შეცვლა მომიხდა. ვასიუტინსკი დავტოვეთ გუნდში მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემპიონატის პირველივე შეხვედრაში დაშავდა ძიძიგური, ბოლქვაძე კი ჯერ არ იყო ჩარიცხული შემადგენლობაში.

მახსოვს, იმ პერიოდში ბევრი გულწრფელად აღშფოთებული იყო ვასიუტინსკის საქციელით და, გუნდში შექმნილი ძნელი მდგომარეობის მიუხედავად, მის გარიცხვას მოითხოვდა. მათი მთავარი არგუმენტი ტარტუს „კალევის“ მაგალითზე იყო დამყარებული: რამდენი ხანია ესტონელებს არ ჰყავთ ტანმაღალი ცენტრალური თავდამსხმელი და მაინც გვარიანად თამამობენო. მე ეს არგუმენტი ერთი მოსაზრების გამო არ გავიზიარე, თორემ სხვებზე მეტად მინდოდა დამნაშავის დასჯა.

„კალევთან“ ანალოგია ბევრს არაფერს მეუბნებოდა. საქმე ისაა, რომ „სიმაღლის პრობლემა“ ამ გუნდში მაშინ დადგა, როცა სხვებს გამოუჩნდათ ზომაღალი ცენტრალური თავდამსხმელები, თორემ „კალევი“ თავადაც შეჩვეული იყო ამ პრობლემას. ესტონელებმა დიდი ტაქტიკური რეფორმები ჩატარეს იმისთვის, რომ ეს ნაკლი ცალკეულ მოთამაშეთა ფუნქციების ზრდის ხარჯზე აენაზღაურებინათ. ეს პრობლემა მათ ასე თუ ისე გადაჭრეს კიდეც.

ჩვენ კი სასწელდახელოდ უნდა შეგვეცვალა თამაში, უარი გვეთქვა ტრადიციაზე, ძველსა და რბილში გამჯდარ კლასიკურ ნახაზზე. რაღაც საგანგებო შემთხვევას წვრთნის პროცესში, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებდით, მაგრამ მთელი სეზონის ჩატარება უცენტროდ არასდროს გვიფიქრია. ასეა თუ ისე, „ერთი შეცდომა“ ვასიუტინსკის ვაპატიეთ და მაშინვე ხელახლა დავისაჯეთ.

როგორც ჩანს, ამ გამოუსწორებელი ადამიანის როლი ჩვენს გუნდში იმითავითვე გარკვეული ყოფილა. სულ მალე ვასიუტინსკი ისევ გაგვიქცა. მაგრამ მერე, როცა ეს უსირცხვილო ადამიანი შორიდან გამოჩნდა დიდმის საწვრთნელ ბაზაზე, კოლექტივის გადაწყვეტილება ურყევი იყო. მასთან ლაპარაკიც კი არავინ ისურვა.

დავუკვირდეთ უკვე მოყვანილ ციფრებს: ბოლქვაძემ 41-ე ჩემპიონატის 27 მატჩიდან 15 გამოტოვა, ძიძიგურმა — 17, საკანდელიძემ — 12, პულავსკიმ — 9 (ვასიუტინსკიზე აღარაფერს გამბობთ). „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობა, როგორც სედავთ, განახევრებული იყო, ზოგ მატჩში კი მას, უბრალოდ, არ ჰყოფნიდა მოთამაშეები. ამიტომაც დაკვნითის ტურში სპორტული ფორმის ჩაცმა მოუხდა გუნდის მეორე წვრთნელს ამირან სხირელს, რომელმაც რანდენიმე წლის წინათ დაანება თავი თამაშს, და, ცხადია, მზად არც იყო.

მაგრამ ტრავმების ასეთმა სიხშირემ უნებლიეთ ერთი შეკითხვა წარმოშვა: რატომ მაინცდამაინც ჩვენი გუნდი აღმოჩნდა ასეთ მძიმე მდგომარეობაში ტრავმების მხრივ? ეს კითხვა მით უფრო ბუნებრივია, რომ ხშირად ანალოგიურ მდგომარეობაში ვხვდებით ჩვენს ფეხბურთელებს, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს.

იქნებ ყველაფერი უმარი, ან უსწორო ფიზიკური მომზადების ბრალი იყო? არც ეს არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ ხშირად გვსმენია მედიცინის დარგის სპეციალისტთა სამართლიანი საყვედური: არც სპორტსმენები და არც მწვრთნელები ინტერესს არ იჩენენ სამედიცინო კონტროლისადმი. საბჭოთა ქვეყანაში და საზღვარგარეთ სპორტული მედიცინის ნიდწეკები კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს. ევროპაში და წვრთნა მედიცინის მუშაკთა ყოველდღიური დაკვირვებების სფეროშია მოქცეული და ტრავმების რიცხვიც გაცილებით ნაკლებია. ამ ფაქტის უგულებელყოფა უმეცრება იქნებოდა, მაგრამ მედიცინისა და სპორტის ურთიერთობა ცალკე თემაა, რომელსაც ალბათ არაერთხელ დაუბრუნდებიან ამ დარგის სპეციალისტები.

ჩვენი საუბრის ძირითადი თემა კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, წინა ჩემპიონატის შედეგების შეჯამება იყო. ამიტომაც უნებლიეთ საკითხის არსს დავუბრუნდით. ის, რაც აქამდე ითქვა, ფაქტიურად არაფერია, თუ არა წარუმატებლობის ობიექტურ მიზეზთა ნუსხა, მიზეზებისა, რომლებსაც ჩემპიონატის სხვადასხვა ეტაპზე გარდატეხა მოახდინა გუნდის თამაშში. მაგრამ მწვრთნელი ფიქრობს, და საფუძვლიანად, რომ გუნდს აქვს სხვა არსებითი ხასიათის ხარვეზებიც. მათი შეხწავლა და ღრმა ანალიზი ჩვენი აზრითაც ძირითადი სტიმული უნდა გახდეს შემდგომ მუშაობაში.

— თბილისის „დინამოს“ სუსტი ადგილი ტრადიციულად იყო და არის დაცვა. ეს ჩვენ მუშაობის პროცესში არასდროს დაგვავიწყებია. კონკრეტული ნაბიჯები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად თვით ჩემპიონატის პროცესში გადადგდგინ. მაგონდება მატჩები ლენინგრადსა და ტალინში, სადაც დინამოელთა თამაშმა დაცვაში საესურველი ხასიათი მიიღო. ამ შეხვედრების პირველ ნახევარში ჩვენ შესაბამისად მხოლოდ 26 და 24 ქულა დავთმეთ. ესე იგი დაცვის სწორი ორგანიზაცია გადაუჭრელი პრობლემა არ ყოფილა. ერთი ან ორი დადებითი შეგალითი იმის ნიშანია, რომ გუნდმა მიაგნო თავის „აქილევსის ქუსლს“ და რაღაც კონკრეტული გზაც გამონახა მის დასაძლევად.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს კალათბურთელებს ფსიქოლოგიური შთაგონებაც სჭირდებათ. კალათბურთი მხოლოდ თავდასხმაში თამაშს, შეტი-ქულის დგროვებას არ გულისხმობს. წარმატება თანამედროვე კალათბურთში მნიშვნელოვანწილად დაცვის სათამაშოებლაა. ამიტომაც უნდა შევიგნოთ, რომ დაცვაში თამაშიც ისეთივე აუცილებელია და გუნდისთვის სასარგებლო, როგორც თავდასხმის სწორი ორგანიზაცია. მსოფლიო კალათბურთის ისტორიაში ჩემპერლენზე არანაკლები სახელი აქვს დატოვებული რასელს — ამკარად გამოხატულ მცველს. ანდა ვინ შეიძლება ჩვეულებრივ ეტიტიტეტით სამყაროს კალათბურთში სურგეი ბელოვს, რომელიც წლების მანძილზე საბჭოთა ნაკრების დაცვის ბურჯი იყო და, ამის მიუხედავად, ბარე ორჯერ თუ სამჯერ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს?

მე ვფიქრობ, ამ მხრივ შარშან და წლეულს ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა ვარკიშმა გაოკვეული ნაყოფი გამოიღო.

არის კიდევ ტექნიკურ-ტაქტიკურ ბრობლემათა მთელი ჯგუფი, რომლის შესახებაც გუნდის ხელმძღვანელობა ბევრს ფიქრობს: ურთიერთკავშირი გამთამაშებლებსა და თავდამსხმელებს შორის, თავდამსხმელებსა და ცენტრებს შორის. ლევან მოსეშვილს საკუთრებით სამართლიანად მიაჩნია, რომ მხოლოდ ამ საკითხების მოგვარების შემდეგ შეიძლება ლაპარაკი თამაშის საერთო ნახაზზე, გუნდის ხელწერაზე.

ახლა ტანმაღალ მოთამაშეთა საკითხიც. წინა ჩემპიონატის მწარე დღეები საუკეთესო გაკვეთილია გუნდისთვის, რომელმაც ბევრი რამ დაკარგა გამოუცდელობის მიზეზით. ამიერიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ პრესინგს, როგორც აქტიური დაცვის ფორმას, ამბობს მწვრთნელი, სამართლიანი აზრია, ყოველმხრივ გამოსადეგი, განსაკუთრებით მაშინ, როცა სიმაღლის საკითხი გაწუხებს. მაგრამ პრესინგი რომ ერთი-ორად უფრო შრომატევადი „ფუფუნებაა“?

საუბრის დასასრულს ძალაუნებურად ახალი ჩემპიონატისთვის მზადების თემას მივადექით. მაგრამ ამ სამზადისში, როგორც მოსეშვილმა აღნიშნა, გათვალისწინებული იყო ყველანი საკითხი, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელეთ. ამიტომაც ახალი არაფერი აღმოგვიჩენია.

— არის თუ არა რაიმე ცვლილებები გუნდში?

— ცვლილებები, რა თქმა უნდა, არის. ბევრმა გამოცდილმა მოთამაშემ დატოვა შემადგენლობა, მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებისთვისაც წლეულდელი ჩემპიონატი პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. გუნდს აქვს გარკვეული გეგმები, თავისი ძალების რწმენა, ეს ჯერ ცოტას არ ნიშნავს.

— რას უნდა მიუქციოთ მთავარი ყურადღება ახალ სეზონში?

— ყველაფერს, რაც ხელს შეგვიწყობს თამაშის გაუმჯობესებაში, კალათბურთელთა ტექნიკურ მოზადებას, ტაქტიკურ მრავალფეროვნებას, რეზერვს, სათამაშო და საყოფაცხოვრებო დისციპლინას.

კალათბურთი ჩვენი ხალხის საყვარელი სპორტია, თბილისის „დინამო“ კი — მისი საუკეთესო ტრადიციების გამომხატველი. გუნდი, რომელსაც ჩვენ ასეთი იმედით შევყურებთ, მთელი საზოგადოებრიობის საკუთრებაა, ამიტომაც მას ყოველმხრივი დახმარება სჭირდება. უნდა გვახსოვდეს, რომ „დინამოს“ წარუმატებლობისთვის პასუხს აგებს არა მარტო საუწყებო ხელმძღვანელობა, არამედ ყველა ჩვენგანი, ყველა ვინც სიხლითა და ხორცით დაკავშირებული ვართ ყოველდღიურ სპორტულ ცხოვრებასთან.

ნ. გუგუშვილი.

შაში

პირველობა... კინოთეატრში



თბილისში, შოთა რუსთველის სახელობის კინოთეატრის ფოიეში მიმდინარეობს დედაქალაქის პირველობა რუსულ შაში ქალთა შორის. შეჯიბრებაში 16 უძლიერესი მოშაშე მონაწილეობს. მათ შორის არიან ოსტატობის კანდიდატები საქართველოს ჩემპიონი ს. გიჯაშვილი და მ. დოლბაია.

შეჯიბრება, რომელიც შვეიცარიული სისტემით (8 ტური) ტარდება, 3 ნოემბრამდე გასტანს. მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება თბილისის ქალთა ნაკრები, რომელიც საქართველოს გუნდურ პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ მ. მოსიძე და დ. ბოლქვაძე — 3-3 ქულა.

ა. კოტორაშვილი.

* * *

სურათზე: ს. გიჯაშვილისა (მარცხნივ) და მ. მოსიძის შეხვედრა. გაიმარჯვა მოსიძემ.

ავტორის ფოტო.

ბაღრაკი

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პარპოვი — კორჩნოი 2:0 (14 ყაიმი)

მოსკოვი, 27 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოვწყო შეხვედრა XVI პარტიის დასამთავრებლად, რომელიც წინადღით გადაიდო. შეწყვეტილ პოზიციაში კარპოვს ზედმეტი პაიკი და ბიუტების მანსი ჰქონდა.

თამაშის განასლებისას გამოირკვა, რომ კარპოვს უხეირო სვლა ჩაეწერა. პაიკის აყვანის ნაცვლად მას მსჯდრით უკან უნდა დაეხია და კორჩნოისთვის ორ ფიგურაში ვეტლის დათმობის შესაძლებლობა არ უნდა მიეცა. მართალია, კარპოვმა გაუსვლელი პაიკი მიიღო, მაგრამ კორჩნოიმ შეძლო მისი უნაყოფოდ ყოფა. შემდეგ კარპოვი ამაოდ განაგრძობდა ზოგებისკენ მიმავალი ბილიკის ძებნას. კორჩნოი ზუსტად თამაშობდა და 68-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

გთავაზობთ XVI პარტიის დამოლოებას:

კორჩნოი



კარპოვი

41. კ:b5 (ჩაწერილი სვლა) ლ:e8 42. კ:e8 ლ:e8 43. d6 კf5 44. ედ1 ლb5 45. ლd4 8d7 46. ეc1 კe6 47. 8ფh2 ლg5 48. h4 ლd8 49. h4 8f6 50. ლe5 8e8 51. ეe4 ლ:d6 52. ლ:d6 8:d6 53. ეd4 8b7 54. g4 8ფh7 55. 8ფg3 8ფg6 56. 8ფf4 hg 57. fg f6 58. ეd1 8ფh6 59. ეd4 8ფg6 60. h5+ 8ფh6 61. b5 g6 62. hg 8ფ:g6 63. b6 8ფf7 64. ეd2 8ფe7 65. ეc2 კd5 66. ეc7+ 8ფe6 67. ეh7 8d6. ყაიმი.

კარტია კარ შედგება

მოსკოვი, 28 ოქტომბერი. პრეტენდენტთა მატჩის XVII პარტია, რომელიც დღეს უნდა ჩატარებულიყო, არ შედგება კარპოვის ავადმყოფობის გამო.

ვადამდე...

ოდესა, 27 ოქტომბერი. სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამარჯვებული შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე გამოვლინდა: ეს არის ლვოვის უნივერსიტეტის სტუდენტი, ევროპის 1973 წლის ჩემპიონი იუნიორთა შორის, საერთაშორისო ოსტატი ო. რომანიშინი.

უპირველესი მიზანი და ოცნება

სსრ კავშირის თასი ჩოგბურთში

თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება. ვაჟებში თასი მოიპოვა ცსკა-ს გუნდმა, ქალთა შორის გაიმარჯვეს მოსკოვის დინამოელებმა.

... კორტზე ორი სახელოვანი სპორტსმენი გამოვიდა. ერთი ძველი თაობის წარმომადგენელი, გამოჩენილი საბჭოთა ჩოგბურთელი, ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი სერგეი ანდრეევი და სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ლიდერი ალექსანდრე მეტრეველი. სათადარიგო მოედანზე ტევა არ იყო. მაყურებლები ფეხზე იდგნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს წარსულისა და აწმყოს პაექრობას. ეს საგზეთო კორექტურა არ გეგონთ, ანდრეევი და მეტრეველი, რა თქმა უნდა, თასის გათამაშებაში არ მონაწილეობდნენ, უბრალოდ, მეტრეველს იმ დღეს წვრთნა-ვარჯიშში ანდრეევი „ეხმარებოდა“, მაყურებელი კი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მათს პაექრობას.

მერე რა არის ამაში საკვირველი? — იკითხავს მკითხველი. მართლაც, საოცარი არაფერია, მაგრამ ამ დროს ცენტრალურ კორტზე თასის გათამაშებაში ერთმანეთს ხვდებოდნენ მოსკოველი გოლკოვი და რიგელი ლანგვერიბუნები კი... ცარიელი იყო. თაკარა მზეში ორი სპორტსმენი ზლაზვნით, უგუნებოდ თამაშობდა. არა, ეს ნამდვილად არ წაგავდა ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს შეჯიბრებას...

როცა საკვირო მასშტაბის შეჯიბრებაზეა საუბარი, მკითხველს უპირველეს ყოვლისა წარმოუდგება გარჩევებული დარბაზი, მწვანედ მობიბინე მინდვრები, აგრისფერი კორტები, მაყურებლით დახუნძლული ტრიბუნები და, რაც მთავარია, დაძაბული სპორტული შეხვედრები. ყველა ეს საშეჯიბრო ატრიბუტი აკლდა ჩოგბურთელთა თასის გათამაშებას. და არა მარტო იმიტომ, რომ ტურნირში არ მონაწილეობდნენ ო. მოროზოვა, ა. მეტრეველი და თ. კაკულია, არამედ იმიტომაც, რომ თავად მონაწილეებიც მოუნდომებლად, უგულისყურო მოკიდნენ ამ დიდ ასპარეზობას.

სამაგალითოდ ეგოროვისა და ლანგეს თამაშიც კმარა. ეს მატჩი ლანგემ მოიგო — 3:2. გეიმების ანგარიშებსაც რომ დაუდოთ, ერთი შეხედვით საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სამწუხაროდ, ეგოროვ — ლანგეს მატჩი საწვრთნელ თამაშს უფრო წააგავდა. არავითარი ტაქტიკური ჩანაფიქრი, არავითარი აზარტი — აი, ასეთი იყო ეს მატჩი.

ალბათ ახლა მიხვდა ჩვენი მკითხველი, რატომ ადევნებდნენ თვალს საჩოგბურთო კორტზე ძოსული გულშემატკივრები მეტრეველ — ანდრეევის ვარჯიშს.

ერთადერთმა სპორტსმენმა, რომელმაც ჩოგბურთის მოყვარულთა დიდი სიძპათია დაიმსახურა, გახლდათ 16 წლის მოსკოველი ნ. ჩმირიოვა. მართლაც, წარმოუდგენელია ეს ლერწამივით აშოლტილი სპორტსმენი კორტზე ნახოთ და არ მოგხიბლოთ მისმა დახვეწილმა ოსტატობამ, ათლეტიზმმა და პლასტიკურობამ. წლეულს ჩმირიოვამ თავი გამოიჩინა ბევრ მატჩსა და ტურნირში. დაამარცხა ყველა ძლიერი ჩოგბურთელი, გარდა ჯოშინასი. ტაშკენტის საკავშირო ტურნირშიც მან III ადგილისთვის ბრძოლაში სძლია სსრ კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშეს გ. ბაშეევას. ბრინჯაოს მედალი ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში, დაგვეთანხმებით, დიდზე დიდი წარმატებაა 16 წლის გოგონასთვის...

აი, რან ამბობს ჩმირიოვას სპორტული გზის შესახებ მისი მწვრთნელი დ. დედა, წარსულში საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელი სვეტლანა სვესტიანოვა:

— ნატაშა პატარაობიდანვე გამოირჩეოდა დიდი ფიზიკური ძალით, ჩინებული კოორდინაციით. მეგობრებთან ერთად ჯარგად თამაშობდა ჰოკეის (ნატაშა უმეტესად ვაჟებთან მეგობრობს), ცურავდა, ცხენით ჯირითობდა. თავიდან არც მე და არც ჩემმა მეუღლემ იურიმ, არ ვიცოდით, სპორტის რომელ სახეობას გაჰყვებოდა ჩვენი გოგონა. პირველად, როცა საჩოგბურთო კორტზე მივიყვანე (მაშინ იგი 8 წლისა იყო), მაინცდამაინც მოხიბლული არ დარჩენილა. მერე და მერე ძალიან შეუყვარდა ჩოგანი და კორტები. შევამჩნიე: გოგონა თამამი იყო, მისთვის არ არსებობდა არავითარი ავტორიტეტი, მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა (იგი დღემდე ასეთია), ფიზიკურ მომზადებაში ნატაშას მამა ეხმარება. ისინი ერთად დარბიან, ვარჯიშობენ როგორც საერთო, ასევე სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში.

ჩოგბურთის ტექნიკა გოგონამ სულ მალე შეითვისა და ასევე პატარამ მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ 14 წლისამ მოიგო ბეკნების ტურნირი ინგლისში. მას საზღვარგარეთელმა მწვრთნელებმაც მიაქციეს ყურადღება. ყველა ერთი აზრისა გახლდათ — ჩმირიოვა მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავიაო. სხვათა შორის, მეც ასე ვფიქრობ, რატომ? უპირველეს ყოვლისა, ამას მაფიქრებინებს ნატაშას შრომისმოყვარეობა, უნარი, რომ დღეში 5-6 საათს ივარჯიშოს, დაამუშაოს სხვადასხვა ტაქტიკური ხერხი და დარტყმა. იგი ასლა უკვე ერთ-ერთი უძლიერესია საბჭოთა ქვეყანაში ტექნიკურად, მაგრამ აი, ხასიათი ჯერჯერობით ვერ შეიცვალა. ძალიან ღელავს წაგების დროს, ბევრ ყურადღებას აქცევს იმას, რაც მოედნის მიღმა ხდება. ნერვებს უშლის რეპორტიორის აპარატის ჩხაკუნი, მაყურებელთა რეაქცია... მაგრამ, ჩემი აზრით, ყოველივე ეს მისი ბავშვური ასაკითაა გამოწვეული.

ნატაშა მრავალფეროვნად თამაშობს, დროულად გადის ბადესთან, კარგად იბრძვის უკანა ხაზზე, ერთსაირად ძლიერად ურტყამს როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ხელით, ცვლის თამაშის ტემპს...

ნატაშას უყვარს ალექსანდრე მეტრეველის აზარტული, შემტევი ჩოგაური. როცა კი მეტრეველი სადმე თამაშობს, იგი გულისყურით ადევნებს თვალს მის ყოველ ძრძრაობას, ცდილობს გადაიღოს მისგან ყოველივე საუკეთესო.

უყვარს თეატრი და ოპერა. საერთოდ, მუსიკალური გოგონაა და ეს არც არის გასაკვირი, მისი პაპა ჩინებული მუსიკოსი იყო. თავისუფალ დროს წიგნების კითხვაში ატარებს. აგროვებს მარკების კოლექციას. მახარია მისი ასეთი მრავალმხრივი დაინტერესება. აბა, მითხარით, შეიძლება გონებაშეზღუდულმა ადამიანმა დღეს გზა გიკაფოს დიდ სპორტში და, მით უმეტეს, ჩოგბურთში?

ნატაშას უპირველესი მიზანი და ოცნებაა 1975 წელს უიმბლდონის ჩემპიონობა მოიპოვოს იუნიორთა შორის. სურვილი მართლაც მომხიბლავია, მაგრამ მის შესასრულებლად კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ვნახოთ, რა გამოვა, ზამთარი კიდევ წინაა.

ა. გურული.

სურათზე: სსრ კავშირის თასების მფლობელნი — მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდი (მარცხნიდან — ნ. ჩმირიოვა, მ. ჩუვირინა, ტ. ლაგოისკაია, ლ. ოხრიმენკო) და ცსკა-ს ვაჟთა კოლექტივი (ვ. კოროტკოვი, ვ. ილარიონოვი, ვ. ეგოროვი, ა. ვოლკოვი).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ტექნიკური შედეგები

ვაჟები. ცსკა — ასკ (რიგა). ერთეულები. ა. ვოლკოვი — ვ. ლაპიმაა — 3:0 (6:3, 6:2, 6:2); ვ. ეგოროვი — ა. ლანგე — 2:3 (5:3, 4:6, 10:8, 1:6, 9:11); ვოლკოვი — ლანგე — 3:0 (6:0, 6:4, 6:4); ვ. კოროტკოვი — ა. სოტნიკოვი 3:0 (6:2, 6:3, 6:3); **წყვილები.** ეგოროვი, ვ. ილარიონოვი — სოტნიკოვი, ო. ვატსკი — 3:0 (6:4, 6:3, 8:6). საერთო ანგარიში — 4:1.

ქალები. „დინამო“ (მოსკოვი) —„დინამო“ (ტალინი). ერთეულები. მ. ჩუვირინა — ე. კომაროვა 2:0 (6:2, 6:0); ნ. ჩმირიოვა — ლ. ზინკევიჩი 2:0 (6:0, 6:1); ჩუვირინა — ზინკევიჩი 2:1 (4:6, 6:1, 6:1); ლ. ოხრიმენკო — კომაროვა 2:0 (8:6, 6:4); **წყვილები.** ოხრიმენკო, ტ. ლაგოისკაია — კომაროვა, მ. კოლბერგი 2:1 (6:3, 0:6, 6:4).

კიდევ ერთი ნაბიჯით წინ

მეხიკო, 27 ოქტომბერი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა, რომლებიც გვადალჰარაში და მეხიკოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ტურნირებში ასპარეზობენ, კიდევ თითო ნაბიჯი გადადგეს „ოქროს მიზნისკენ“. ქალთა გუნდმა რუმინეთის კოლექტივს მოუგო — 3:0 (15:10, 15:8, 15:9), ხოლო ვაჟებმა მსოფლიო ჩემპიონს—გდრ-ის ეროვნულ გუნდს სძლიეს — 3:0 (17:15, 15:2, 18:16).

ქალთა შორის ასევე წაუგებლად თამაშობს იაპონიის გუნდი, რომელმაც მორიგ მატჩში ანგარიშით 3:0 (15:8, 15:6, 15:5) დაამარცხა უნგრეთის ნაკრები.

ვაჟთა ტურნირში წაუგებლად ასპარეზობენ პოლონელები. ამჯერად მათ რუმინელებს სძლიეს — 3:0 (15:4, 15:10, 15:9). იაპონიის გუნდმა ანგარიშით 3:1 (15:11, 10:15, 15:11, 17:15) დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ნაკრები.

ფრენბურთი

19 წლის

◆ **პრაღა, 28 ოქტომბერი.** სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა აქ გამართული III სპარტაკიადა საბჭოთა მოჭიდავეებისთვის წარმატებით დამთავრდა. „კლასიკოსთა“ ტურნირში ათივე საბჭოთა სპორტსმენმა მედლები მოიპოვა — 7 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი — ასეთია მათი ნადავლი. „კლასიკოსებს“ ოდნავ „ჩამორჩნენ“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. მათ 5 ოქროს და 4 ვერცხლის მედალი მოიხვეჭეს. „კლასიკოსთა“ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან მსოფლიო ჩემპიონი ნ. დავიდიანი (კიევი), მსოფლიო პირველობის პრიზიორი ვ. არუთინოვი (ერევანი), ვ. უმეროვი (ზაპოროჟიე), ა. ბიკოვი (ალმა-ათა)...

ფეხბურთი

უეფა-ს სანქციები

ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირმა წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ოფიციალური თხოვნით მიმართა ყველა თავის წევრს, რომ ევროპის თასების გათამაშებების მატჩებში სრული წესრიგი დაეცვათ სტადიონებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში უეფა აფრთხილებდა ყველას, საგანგებო ზომებს მივიღებთო.

სულ ახლახან უეფა-მ თავისი დაპირება შეასრულა: დისკვალიფიკაცია მისცა ორ სტადიონსა და ათ ფეხბურთელს.

● ●

დანიელთა პროტესტი

დანიის ფეხბურთის ფედერაციამ პროტესტით მიმართა ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირს. დანიელები მოითხოვენ ოფიციალურად გადაწყდეს ესპანეთის ნაკრების მოთამაშის მარტინესის მოქალაქეობის საკითხი.

საქმე ისაა, რომ ევროპის ჩემპიონატის მატჩში მარტინესი დანიელთა წინააღმდეგ გამოდიოდა ესპანეთის გუნდში და გოლიც გაიტანა, პროტესტში კი აღნიშნულია, რომ მარტინესი წარმოშობით ბრაზილიელია და ჯერ არ მიღია ესპანეთის მოქალაქეობა. ამიტომ მას უფლება არ ჰქონდა ეთამაშა ამ ქვეყნის ნაკრებში.

უეფა-მ გამოაცხადა, რომ საკითხს გამოიკვლევს.

● ●

ისევ „ინდეპენდიენტე“

დამთავრდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი გათამაშება. გადამწყვეტ, ფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდნენ „ინდეპენდიენტე“ (არგენტინა) და „სან-პაულუ“ (ბრაზილია).

ბრაზილიელებმა პირველად შინ მიიღეს მატჩე და გაიმარჯვეს — 1:0. „ინდეპენდიენტემ“ საკუთარ მინდორზე შეძლო რევანშის აღება ანგარიშით 2:0 (ბოჩინი, ბალბუენა).

საჭირო შეიქნა მესამე თამაშის ჩატარება, ვინაიდან სამხრეთ ამერიკაში გატანილი და მიღებული ბურთების ბალანსს ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არა აქვს. მესამე შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე არგენტინელებმა მოიგეს ანგარიშით 1:0 პაგონის მიერ 27-ე წუთზე კარგად გამოყენებული პენალტის მეოხებით.

„ინდეპენდიენტემ“ ზედიზედ მესამედ და თავისი არსებობის ისტორიაში მეხუთედ მოიპოვა ეგრეთ წოდებული ლიბერტადორესის თასი. ეს რეკორდია სამხრეთ ამერიკისთვის.

44 დღე

ბოლოდ ამდენ ხანს გაძლო ცნობილმა მწვრთნელმა ბ. კლუგმა „ლიდს იუნაიტედის“ სათავეში. კლუგმა ამ ორიოდე წლის წინათ დიდი სახელი მოიხვეჭა მას შემდეგ, რაც „დერბი ქაუნთი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა, მაგრამ „ლიდსში“ მეტად წარუმატებლად მუშაობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ კლუგის დროს 9 კალენდარულ მატჩში „ლიდსის“ ფეხბურთელებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს თითოზე მეტი ბურთის გატანა.

კიდევ ერთ ფელიფადს...

ეას შემდეგ, რაც საუკეთესო იტალიელმა თავდამსხმელმა ლ. რივამ ერთობ უღიმღამოდ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, ბევრი მიმომხილველი მოელოდა, რომ იგი თავს დაანებებდა ფეხბურთს.

ეს მოლოდინი არ გამართლდა. პირიქით, რივას იტალიის სხვადასხვა გუნდიდან არაერთი მიწვევა მიუვიდა, მაგრამ ფეხბურთელმა არჩია თავის ძველ კლუბ „კალიარიში“ დარჩენა და კიდევ ერთი წლით გაგრძელა კონტრაქტი.

მინი-ფეხბურთი ლონდონში

ლონდონში დაიწყო ტურნირი, რომელსაც უწოდებენ, არც მეტი, არც ნაკლები, „მსოფლიო ჩემპიონატს მინი-ფეხბურთში“. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტორონტოსა და ლონდონის გუნდები. ანგარიშით 13.12 გაიმარჯვეს ტორონტოელებმა. კანადელთა გუნდში გამოდიოდნენ „ბენფიკის“ ფეხბურთელი ეუსებიო და ბრაზილიელი ქაირზინიო, ლონდონელთა გუნდში კი — ბენქსი, ჰენტი, ლოუ, უილსონი, ჯონსი.

ბელგიელი ფეხბურთელი ვიკენი 6 მატჩისა დისკვალიფიცირებულია მსაჯთან კამათისთვის. 8-8 საერთაშორისო მატჩით არიან დისკვალიფიცირებული სანტინი („ტორინო“), მარსიალი („მარსელონა“), გროუდანოვი და კოეტი (ორივე — „ეტარი“), კოსტასი („პანათინაიკოსი“). ორ-ორ მატჩში აეკრძალათ მონაწილეობა ლენოქსს („სელტიკი“), ვიერას („ოლიმპიაკოსი“), კლარამუნტს („რეალი“), გოლარს („პარტიზანი“).

ვინაიდან საჭირო წესრიგი არ იყო უზრუნველყოფილი ათენში და პირეოსში, ბერძული სტადიონები დისკვალიფიცირებულია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

შეგახსენებთ: საქართველოს სპორტკომიტეტი აწყობს თბილისში მომუშავე მწვრთნელმასწავლებელთა დამატებითს ატესტაციას.

ცენტრალური საატესტაციო კომისია იმუშავებს 30 და 31 ოქტომბერს საქართველოს სპორტკომიტეტში (ბაფარიძის ქ. № 4) 16 საათიდან.

ოსტალბილის სპორტულ ბუნებაზე

კალათბურთი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი. 29-30 ოქტომბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი). დასაწყისი 20 ს.

სასტენდო სროლა. თბილისის არმიელთა სპორტულების სასროლეთი ვარკეთილში. 29-31 ოქტომბერი. საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი. დასაწყისი 10 ს.

ტენისი სროლა. ავეჯლის სასროლეთი. 29 ოქტომბერი. თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 10 ს.

ფრენბურთი. ლენინის სახელობის დარბაზი. 29-31 ოქტომბერი. თბილისის VI სპარტაკიადის პროგრამით. დასაწყისი 16 ს.

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 29 ოქტომბერი. საქართველოს ჩემპიონატი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). დასაწყისი 16 ს.

30 ოქტომბერს

ჭადრაკის სასახლეში (ლენინის ქ. № 87) საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო აწყობს რესპუბლიკურ თამბირს თემაზე: „რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად“.

დასაწყისი 11 ს.

ბინა ბისაჯაჯის ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოწყვალე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, შემანწყინებელი ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.